განცხადება!

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე დეკანის არჩევნები გადავადდეს
<u>2016 წლის 06 ივნისს</u> (სტუ-ის II კორპ. მე-3 სართ. კომპიუტერული ცენტრი).

დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
კანდიდატებმა განცხადება უნდა წარადგინონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ;
3. სამოქმედო გეგმა;
4. ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება 2016 წლის 23 მაისს და დასრულდება 30 მაისს. განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველ დღე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში.
2016 წლის 3 ივნისს მოხდება კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა ფაკულტეტის საბჭოზე.

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ დეკანის თანამდებობის დაკავების საკითხს ინდივიდუალურად წყვეტს აკადემიური საბჭო, ამ საკითხზე აკადემიურ საბჭოს დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადებით. განცხადების წარდგენის ვადა - 2016 წლის 23 მაისს, 10 საათიდან 17 საათამდე.

არჩევნები ჩატარდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

ფაკულტეტის საარჩევნო კომისია

მისამართი: II კორპუსი, III სართული, ოთახი № 309,
კომისიის მდივანი ასოც. პროფ. მ. წვერავა
ტელ: 597 78 23 63